საქართველოს სახელმწიფოებრივი
აღდგენა-აღორძინების
**კავშირი**



# საინფორმაციო წყარო

## I

ქრისტეშობისთვე
1989

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალბატონებო და ბატონებო! 1989 წლის 30 ოქტომბერს, პოლიტპატიმართა სოლიდარობის აღმნიშვნელ დღეს შექმნილი საინიციატივო ჯგუფის სახელით კონსტიტუირება დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინება-აღორძინების პარტიამ, რომელიც შემუშავებული პროგრამული პროექტისა და წესდების გამოქვეყნების შემდეგ იმედია შეიძენს თანამოაზრეებს, რომელნიც იმედია შემოგვიერთდებიან და აამოქმედებენ ინტელექტუალურ ძალებს ქართველი ერის, ქრისტიანული სარწმუნოების აღორძინებისათვის, დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის და უზენაესი მიზნის ღმერთის მიერ ნაბოძები თავისუფლების მოპოვებისათვის.

საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინება-აღორძინების პარტია ეყრდნობა და მოქმედებს საერთაშორისო სამართლებრივი წესდებებისა და კანონმდებლობის შესატყვისად. პარტია უერთდება და მხარს უჭერს რუსეთის იმპერიისა და ტოტალიტარული რეჟიმის ქვეყნების არასოციალისტურ-დემოკრატიულ მოძრაობებს და პირველ რიგში კი ღმერთის კარნახითაა და მისი მფარველობით საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ამ მოძრაობის წამომწყებ და თავისუფლების წყურვილით შეპყრობილ ეროვნულ დემოკრატიულ პოლიტიკურ პარტიებსა და გაერთიანებებს.

ჩვენ, პარტიის წარმომადგენლებს მიგვაჩნია, რომ მრავალპარტიული დემოკრატიული საწყისების შექმნა და გაღრმავება მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალი ალტერნატიული აზრების შეჯერების საშუალებას იძლევა და მათი ერთმიზნობრივი განხორციელება ალიანსური პრინციპით მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის მომტანია ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოსათვის, ჩვენი დღევანდელი კოლონიური ბორკილის მოხსნისა და მსხვრევისათვის ჩვენ ღრმად გვწამს, რომ სიმართლე და სამართლიანობა თავის გზას მოძებნის და ისტორიული კანონზომიერებით რუსეთის იმპერია დაინგრევა, დაილეწება ბოლშევიზმის საშინელი, კაცთმოძულე, პირსისხლიანი სისტემა და თავისუფლებას იზეიმებს მრავალტანჯული ქართველი ერი, სრულიად საქართველო, ჩვენ გავიმარჯვებთ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინება-აღორძინების პარტიის შექმნა ერთგვარი აღდგინებაა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის ორგანიზაციისა, რომელიც დაფუძნდა 1987 წლის 12 ივნისსა და სუკ-ის მიერ ლიკვიდირებულ იქნა 1988 წლის 9 თებერვალს. დღეს აღდგენილი პარტიის სახით უკომპრომისო პოლიტიკურ პარტიად ყალიბდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალბატონებო და ბატონებო! პარტიის შემქმნელ წევრებზე მცირეოდენი წარმოდგენა რომ შეგექმნათ, მოგაწვდით ზოგიერთ მათგანის შესახებ ცნობებს:

გიორგი ცხვედაძე, 33 წლის. 1983 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი. ერთ-ერთი ინიციატორი 1987 წლის 12 ივნისს დაარსებული ეროვნულ-დამოუკიდებლობის ორგანიზაციისა, რომელიც ცდილობდა ცნობილ ქართველ ე.წ. "თეატრალურ მოღვაწეთა" გამოფხიზლებასა და ეროვნული საწყისებისაკენ შემობრუნებას, მაგრამ ორგანიზაციის მიერ გაგზავნილი მიმართვა-წერილები ამ "ცნობილ მოღვაწეებისადმი" მავანთა და მავანთა მცდელობითა და გარჯით სუკ-ის ხელში ხვდებოდა როგორც მოგახსენეთ, ორგანიზაცია ლიკვიდირებულ იქნა სუკ-ის მიერ, გიორგი ცხვედაძისადმი კი სუკმა აღძრა საქმე ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდისათვის და ღმერთის მფარველობით და არა ვითომდა იმპერიის მიერ ე.წ. "საჯაროობა","გარდაქმნა"-"დემოკრატიზაციის" მეშვეობით გადაურჩა გაციმბირებასა და გადასახლებას. 1988 წლის სექტემბრიდან იასონ ჭავლენიშვილის და ირაკლი წერეთლის რჩევით შედის ილია ჭავჭავაძის საზოგადოების IV დასში, შემდგომ წმინდა ილია მართლის საზოგადოებად წოდებული. 1988 წლის დეკემბრიდან ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის საინიციატივო ჯგუფის წევრია, შემდეგ კი ამ პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი. 1989 წლის აგვისტოდან ამ პარტიის ფრაქციული ნაწილის წევრი ხდება, რომელიც ამჟამად საქართველოს დემოკრატიულ პარტიად იწოდება.

გიორგის, საბჭოთა კავშირის მოქალაქეობაზე იმპერიის მმართველის გორბაჩოვის სახელზე უარი აქვს განცხადებული.

დავით ონანაშვილი, 26 წლის. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი. დავითიც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის ორგანიზაციის წევრი იყო, შემდეგ კი საქართველოს დემოკრატიული პარტიის წევრობის კანდიდატი 1989 წლის აგვისტოდან. დავითს საბჭოთა კავშირის მოქალაქეობაზე იმპერიის მმართველის გორბაჩოვის სახელზე უარი აქვს განცხადებული. არაერთხელ დაკავებული საბჭოთა დამსჯელი ორგანოების მიერ შიმშილობისა და მიტინგების დროს.

ვახტანგ შალიბაშვილი, 33 წლის. 1983 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ვახტანგიც ერთ ერთი ინიციატორი და დამაარსებელია საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის ორგანიზაციისა 1987 წლის ივნისში. ვახტანგიც დევნას განიცდიდა სუკ-ის მიერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ინფორმაციებს საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინება-აღორძინების პარტიის შესახებ სისტემატიურად მოგაწვდით.

ღმერთი არს ჩვენთან!

საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინება-აღორძინების პარტიის სახელით.

გიორგი ცხვედაძე
დავით ონანაშვილი
ვახტანგ შალიბაშვილი
ვასილ მჭედლიშვილი
მამია ჩადუნელი
ელდარ გოგალაძე

1989 წლის 30 ოქტომბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინება-აღორძინების პარტიის

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიზანდასახულად იღვწის სანუკვარი ოცნების აღსრულებისათვის, დგება ახალ-მაღალპროფესიონალურ პოლიტიკურ პლატფორმაზე, რაც ჩვენი აზრით ქართულ ფენომენში, წინაპართა ნათელი სულის უკვდავებაში, ერის გარკვეულ სარწმუნოებრივ აღორძინებაში უნდა ვეძიოთ.

საქართველოს ეროვნული ოპოზიციური პარტიებისა და ორგანიზაციების უკომპრომისო მშვიდობიანი პოლიტიკურ-დიპლომატიური ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მიზანს მალე მიაღწევს, რამეთუ ბრძოლა ესე სამართლიანი და თავდაუზოგავია.

საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინების პარტია მხარს უჭერს თავისუფლებისათვის მებრძოლ ეროვნულ ძალებს, მხარს უჭერს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის ყველა მოთხოვნას, წაგებულის საბჭოთა იმპერიის ე.წ. ქართული ბოლშევიკური ფილიალის მარიონეტ ხელმძღვანელობის მიმართ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველა მოთხოვნა ძირფესვგამაგრებული ჭეშმარიტებითაა გაჟღენთილი.

ძმებო! ქართველებო! ძალა ერთობაშია, ერის ხსნა დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციის გარეშე წარმოუდგენელია. ამ შეგონებით უცილობლად გავიმარჯვებთ.

ეროვნული მოძრაობის გმირი მერაბ კოსტავა თავისი უკვდავი რაინდული სულით ჩვენი დიდი წინაპრების, ერის თავისუფლებისათვის მებრძოლ თავდაუზოგავ მამულიშვილებთან ერთად ლოცვა-კურთხევას არ მოგვაკლებს სამარადჟამო სასუფეველიდან საქართველოს თავისუფლებისაკენ მიმავალ ბრძოლის გზაზე.

ღმერთი იყოს ერის ჩვენის, სრულიად საქართველოს მფარველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ი მ ა რ თ ვ ა

## ქართველი და საქართველოში მცხოვრები ებრაელი ხალხისადმი

ეთნოკრიზისი საქართველოში შემთხვევითი არ არის, იგი 70 წლის ბოლშევიკური ავანტურისა და პროვოკაციების შედეგია. საქართველოს ოლქად და ავტონომიებად დაყოფა კრემლის ტოტალიტარული რეჟიმის ბასრი იარაღია მათი ბინძური მიზნების განხორციელებისათვის, მაგრამ მრავალტანჯული ქართველი ერი არ წამოეგება ბასრ იარაღს, ღმერთის მიერ ნაბოძები სიდინჯითა და გონიერებით აიცილებს პროვოკაციებს, ღმერთი კი სამაგიეროს მიუზღავს ეთნოკრიზისის გამამწვავებლებს საქართველოში. რისხვა დაატყდება სატანის მოციქულებს, თვითონვე შეიბრუნებენ აგრესიულ იარაღს თავისივე გაუმაძღარი მუცლის გამოსაფატრავად და დალევენ ბოლშევიკურ-იუდასეულ სულს: მაშინ კი დაისამარებს დიდმპყრობელობა და შოვინიზმი, გაუმაძღრობა და კაცთმოძულეობა, კრემლი მოიკვეთს თავს და გამოიგლეჯს გულს ბარბაროსულს.

იმპერიის პირსისხლიან მბრძანებელთ ჰგონიათ, რომ მათ დააგეს მორიგი "სეპარატისტული ხაფანგი" ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად, მაგრამ ვერა ხვდებიან, რომ თვითონვე ებმებიან ხაფანგში. სეპარატიზმი საქართველოში ქართველებისათვის მიუღებელია. იგი ვერ ეგუება და ვერც შეეგუება ქართულ მიწაზე მოსული, შეფარებული ეთნიკური ჯგუფების ანარქიას და საკუთარ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწას არავის არ დაუთმობს წარსატაცებლად.

მოსკოვმა თავისი მარიონეტი შემსრულებლების მეშვეობით სცადა კიდევ ერთი ხაფანგის დაგება: ქართველ და ებრაელ ხალხთა დაპირისპირება, ხალხისა, რომელიც 31 საუკუნეა ქართველი კაცის ჭირსა და ვარამს იზიარებდა. მოსკოვის აგიტაცია-პროპაგანდა ანტისემიტიზმითაა გაჟღენთილი ვერ ხედავს რა მპყრობელი ქართველი ხალხში ამგვარ ანალოგიას, ცდილობს ამ ორი მეგობარი ერის დაპირისპირებას. ამის დამადასტურებელი იყო რამოდენიმე თვის წინათ პროვოკატორების მიერ თბილისში ებრაელთა საფლავების შეურაცხყოფა, ვანდალიზმი. დიახ, მაშინ კრემლმა ვერაფერს მიაღწია და იმპერიის მბრძანებლებმა რამოდენიმე კვირის წინ კიდევ სცადეს დაბა სურამში ქართველთა და ებრაელთა დაპირისპირება, შუღლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩამოგდება და კვლავ უშედეგოდ დამთავრდა ბოლშევიკ შთამომავალ-თა მცდელობა. სურამელი ქართველები და ებრაელები ადვილად მიუხვდ-ნენ უხილავ მესამე ძალის საზადელს და ლახვარი ჩასცეს უხილავ მტერს ურჯულო გულში. არაჰუმანურობა დამარცხდა.

სურამელი ებრაელები კვლავ ძველებურად გრძნობენ თავს ქარ-თველებთან ერთად ქართულ მიწაზე. საქართველოს ებრაელობას "სეპა-რატიზმის" ნიჭი არა აქვთ და ხედავენ რა ქართველთა პრობლემებს, იმედია ისინი ცეცხლზე ნავთს არ დაასხამენ და არ შეიძულებენ ქართველ ძმებს, რამეთუ 31 საუკუნეს კრემლი ვერ აღგვის პირისაგან მიწისა.

კრემლი მომავალშიც შეეცდება ჟანგიანი ანკესის გადმოგდე-ბას, მაგრამ იმედია, რომ არც ქართველი და არც ებრაელი ხალხი ამ ანკესს არ წამოეგება.

ქართველ ხალხს გვწამს ბიბლიის შემქმნელი ერის ერთგულებისა. გვწამს, რომ კვლავაც ქართველი ერის ჭირისა და ლხინის გამზიარებე-ლნი იქნებიან.

ღმერთი ჰფარავდეს ცივილიზაციის შემქმნელ ქართველ და ებრაელ ერებს.

ღმერთი ჰფარავდეს სრულიად საქართველოს!

საქართველოს სახელმწიფოებრივი
აღდგინება-აღორძინების პარტია

1989 წლის ნოემბერი.

# ინფორმაცია ინფორმაცია

## 1. სეპარატიზმი ისტორიულ სამაჩაბლოში

დიახ! გრძელდება ე.წ.სამხრეთ ოსეთში ოსთა ანტიქართული გამოხდომები, მათ ფაქტიურად ომი გამოგვიცხადეს. არ შეუშვეს ქართველი ხალხი საკუთარ მშობლიურ შიდა ქართლის მიწაზე, მათ მხარეზეა ოსი მილიცია და ადმინისტრაცია. ქართული მილიცია, თუ საქართველოს ე.წ. მთავრობა. ქართველი ერი ალყაშია საკუთარ სახლში, მას ამცირებენ, აგინებენ, სცემენ, ასახიჩრებენ და კლავენ, როდემდის?

23 ნოემბრის შემდეგ ქართველთა საპროტესტო მიტინგები გაიმართა გორში. 26 ნოემბერს კი წმინდა ილია მართლისა და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ინიციატივით გაიმართა მიტინგი ხაშურში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინება-აღორძინების პარტიის წარმომადგენლებმა. სამაჩაბლოში მომხდარი ამბების თაობაზე გამოვიდნენ ირაკლი ბათიაშვილი, ავქსენტი გოგოლაძე, მალხაზ გოგოლაძე /წმ. ილია მართლისა და დამოუკიდებლობის პარტიის წევრები/ გია ცხვედაძე საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინება-აღორძინების პარტიის სახელით. აგრევე საზოგადოების წარმომადგენლები, მათ მოუწოდეს ქართველ ხალხს კონსოლიდაციისაკენ და საკუთარ სახლში თავდაცვის აუცილებლობისაკენ, რა თქმა უნდა უნდობლობა გამოუცხადეს ყველა კომუნისტ ფუნქციონერს მოღალატეობრივ პოზიციებზე, რომ დგანან, შემდეგ დემონსტრანტები გაემართნენ მსვლელობით ქ. ხაშურის მილიციის საქალაქო განყოფილებისაკენ, სადაც მოითხოვდნენ გარანტიას ქართველი კაცის თავდაცვისას – მილიციის წარმომადგენლები კი გარანტიას არ იძლეოდნენ – ჩვენც თქვენთან ერთად უიარაღოდ შევხვდებით მომხდურებსო – იძახდნენ. ეს მტკნარი სიცრუეა და ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ქართული მილიციის მოღალატეობრივ პოზიციას და იმპერიის სამსახურში სატანისეული ძალების დაცვის ტაქტიკას, ისინი წამდაუწუმ იმეორებდნენ, რომ განგვაიარაღეს. ზემოდანო. იქიდან დემონსტრანტები გაემართნენ რკინიგზის მილიციის განყოფილებისაკენ, იქვეა სუკ-ის წარმომადგენლობაც და გარანტიას მოითხვდნენ მათგან. ხაშურის რკინიგზის მილიციის უფროსმა ამირან შეყრილაძემ დაწერა ე.წ. გარანტია, რომ ყოველგვარ ანტიქართულ გამოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოებს აღკვეთდნენ ქართველების წინააღმდეგ მიმართულს. ე.წ. გარანტია ჩვენ ხელთ გვაქვს და საჭიროების შემთხვევაში აუცილებლად გამოვიყენებთ. ამ ე.წ. დიალოგს და ქართველთა დაცვის გარანტიის დოკუმენტის შექმნისას ე.წ. საბჭოთა-ქართული მილიციის უფროსის კუთვნილ კაბინეტში იმყოფებოდნენ დამოუკიდებლობის პარტიის წარმომადგენელი მალხაზ გოგოლაძე და საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინება-აღორძინების პარტიის წარმომადგენლები გიორგი ცხვედაძე და გიორგი კიკნაძე.

ქუჩაში მსვლელობის დროს დემონსტრანტები ომახიანად გაიძახოდნენ: "გაუმარჯოს თავისუფალ, ქრისტიანულ საქართველოს", "ძირს რუსეთის კაცთმოძულე იმპერია. მიტინგი და მსვლელობიი მანიფესტაცია მშვიდობიანად დამთავრდა და როგორც ყოველთვის ამ აქციის შესახებ ადგილობრივმა საქალაქო-სარაიონო ოფიციალურმა გაზეთმა მწირი და შეცდომებით სავსე ინფორმაცია გამოაქვეყნა. აქცია წვიმიან ცივ ამინდში დაიწყო დილის 4 საათზე და დამთავრდა გვიან ღამით.

## 2. დიალოგი, რომელსაც ვითომდა კომპრომისი ჰქვია.

მეორე დღეს 27 ნოემბერს ე.წ. ხაშურის ხელმძღვანელებმა დიალოგისათვის მიიწვიეს ქ.ხაშურის რაიონში მცხოვრები ოსები, ასევე ფუნქციონერი კომ.პარტიის წარმომადგენელი ქართველები და როგორც ოფიციოზი გვიწოდებს ე.წ. არაფორმალური პარტიების წარმომადგენლები. საქმე იმაში გახლავთ, რომ ხაშურშიც რამოდენიმე ათასი ოსი ცხოვრობს და როგორც გავიგეთ ექსტრემისტულ-ანტიქართული გაერთიანების "ადამონ ნიხასის" ფილიალის დაარსებასაც ლამობდნენ /ალბათ დღესაც ასეა/ რამეთუ ვინმე კულუმბეგოვი, ქვიშხეთის სკოლის პედაგოგი შეთითხნილი რუქებითა და ანტიქართული მოწოდებით აბრუებდა და ქართველ ხალხს გვიპირისპირებდა, სკოლის მოსწავლეებსაც კი. თურმე ბორჯომი, ხაშური, გორი და ა.შ. ოსეთის კუთვნილება ყოფილა. ოპოზიციური ძალების წარმომადგენლებმა მოითხოვეს ამ პიროვნებების ყოველგვარი ანტიქართული მოქმედების აღკვეთა და ასევე გააფრთხილეს სხვა ოსი პედაგოგები, რომლებიც ქართულ საბჭოთა სკოლებში ასწავლიან- ანალოგიური აგიტაცია - პროპაგანდისათვის რომ დაისჯებიან, როგორც ოსების მხრიდან, ასევე კომუნისტი ფუნქციონერების მხრიდან მიტინ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვის განმარტვაზე ჩამოაგდეს საუბარი, რაც ოპოზიციურმა მხარემ სასტიკად დაგმო, გააკრიტიკა და უკომპრომისოდ აღუთქვა იმ მყოვ, რომ ყოველგვარი მიტინგის მცდელობას ქ.ხაშურში ოსებისას აღკვეთავდნენ, მოითხოვეს ორი რამ ოპოზიციის წარმომადგენლებმა, რეზოლუციებს, რომლებსაც მიიღებენ ისი პედაგოგები ანტი ქართულ აგიტაცია-პროპაგანდის მცდელობას ადგილი არ ქონდეს სკოლებში, 2.ადამონ ნიხასისადმი და სამაჩაბლოში გაგზავნილი მიმართვის რეზოლუცია. მიღებულ მიმართვას გადმოსცემდნენ კერძოდ წმინდა ილია მართლის საზოგადოებას და დამოუკიდებლობის პარტიის ხაშურის ფილიალს და საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინება-აღორძინების პარტიის ხაშურის კომიტეტს.

## 3. ე.წ.საქართველოს ტელევიზია და დეპუტატი სოპჩაკი

როგორც მოგეხსენებათ საქართველოს ტელევიზია მიუხედავად 9 აპრილისა და თავისივე ფიცის აღიარებისა: "ჩვენ, ქართველი ჟურნალისტები უკვე ერის მხარესა ვართ და ერთ ტყუილსაც არ ვიტყვით"-ო. - დეზინფორმაციის წყაროა. კვლავ არ აშუქებენ იმას, რაც რეალობა დღეს. კვლავ მათი დიქტორები მომღიმარი სახეებით გვიცქერიან ე.წ. ცისფერი ეკრანიდან და კვლავ ომახიანად გვიკითხავენ შინაგან საქმეთა პრეს-ჯგუფის დეზინფორმაციებს, მომრავლდა რუსული ფილმები, რუსიფიკატორული მეთოდები ძლიერდება; ის კი არა და ე.წ. "ნაშუადღევშიც" კი შემოაპარეს რუსული "როკ ოპერები". აღარავერს ვამბობთ რუსულ მულტ.ფილმებზე, რუსულ კინო- ნარკვევებზე და იმ რუსულ გაკვეთილ-ლექციებზე, ერთი, რომელიც ქალბატონ მათიაშვილს მიჰყავს პატარა გოგონებთან და ბიჭუნებთან, მეორე უნივერსიტეტის დოცენტ ბასილაიას და მესამე კიდევ, თუმცა ეს თვითონ უკეთ იციან. ერთი სიტყვით, რაც იყვნენ იგივენი დარჩნენ სავარძლებსა და იაფფასიან რეკლამებს ჩაბღაუჭებულნი, არაქრისტიანული გზით მიმავალნი და არაქართველი ხალხის ინტერესების დამცველნი, თითქოს სანებლიძე არ წასულიყოს და ისევ პაციაშვილთან ერთად განკარგულებებით ტელევიზიაში აღამებდნენ და ათენებდნენ.

სოპჩაკის კრემლისეული პოზიცია ერთხელ უკვე აჩვენეს, ეხლა კი ჩვენი გულის გასახარად ლენინგრადის პოპულარულ /პიატოე კოლესო/ გადაცემები გვიჩვენეს, კომენტარი კი ფირის წინ თოჯინების მეგობარ ამრიკოს მიერ გენიალურად იყო ღიმილით წაკითხული /აი ისე, ბღაპრების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენების წინ რომ იცის ხოლმე,/ რომ თურმე ზოგი რამ ბატონი სობჩაკის ნათქვამი არ მოგეწონებათ, მიუღებელია,მაგრამ მთლიანობაში კი...

ისე,როგორც ქართული საბჭოთა პიესა,ძირითადად "გაზეთები" არ დგას სიმართლისა და სამართლიანობის გზაზე თქვენც ტელეკომიტეტის მოკამკამე ვარსკვლავებს უარესი სენი გჭირთ /ზოგიერთების გამოკლებით/ ოპერატიულები ნამდვილად ხართ ეროვნულის გარდა ყველაფერში, დღის პირველ საათზე დაჭერილ ნარკომანს ორ საათში გამოაშკარავებთ, ოკუპანტის დროში ჩამოხევას წუთებში, ხოლო ექ სტრემისტებად, როგორც ეს ამ ნახევარი წლის წინ იყო ბეთანიშვილისა და სხვათა კომენტარებით - წამებში, ხოლო ქართველთა ხოცვა-ჟლეტვას, მათ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ყოფნას კი წლებს ანდომებთ და მხოლოდ მაშინ რეაგირებთ, როცა მრავალათასიან მიტინგს მოგიწყობენ თქვენი ბრწყინვალე მინიებიანი,ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აღჭურვილი შენობის წინ.

პროტესტს გიცხადებთ ქართველი ერის,სრულიად საქართველოს ამ განსაცდელის დროს ანტიქართული მოქმედებისათვის,რუსიფიკატორული მისიის გავრცობა-გაღვივებისათვის. გიცხადებთ გოგელიადან დაწყებული დამთავრებული ვიქტორ სოკოლოვ ჩხიკვაძემდე,რამეთუ კითხულობთ და ასრულებთ იმას, რასაც მოგაწვდიან მონრთის თავგამოდებული დამცველი შინაური მმართველი მტრები. დიახ! თქვენ კვლავ კრემლის ბრმა და საკმაოდ მოქნილ იარაღად რჩებით საკუთარ ხალხს დაპირისპირებულნი.იმედია მალე რუსულენოვან ტელევიზიის სტატუსს მოგანიჭებენ მოსკოვიდან. ვაშა თქვენ! ვაშა თქვენს ინტერნაციონალისტურ-რუსულჟურნალისტურ-რა თქმა უნდა დიდმპყრობელურ ზემოქმედებას!

საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინება-აღორძინების სახელით:

| | |
|---|---|
| გიორგი ცხვედაძე | ლია მჭედლიშვილი |
| დავით ობანიშვილი | ზაზა წიქარიშვილი |
| ნატია ჩადუნელი | ჯამბული ბუაჩიძე |
| გიორგი კიკნაძე | ნინო მჭედლიშვილი |
| ელდარი ბოგოლაძე | ნატო მჭედლიშვილი |
| ვახტანგ შალიბაშვილი | ვასილ მჭედლიშვილი |
| ნანა სურგულაძე | დიდიმამიშვილი |
| მიხეილ ტყემალაძე | |

დიდად გვასიამოვნებთ თუ ბატონი ვალერი კვარაცხელია,თავისი თავდაუზოგავი პატრიოტიზმით,საჯაროდ წაიკითხავს ზემოთ თქმულს,რისი იმედიც არა გვაქვს.